

საქართველოს პარლამენტი

ინფორმაცია და სტატისტიკური ანგარიში
დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ

(01.01.2018 - 30.06.2018)

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი

ინფორმაცია

დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ

2018 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის საქმისწარმოების დეპარტამენტის დოკუმენტბრუნვამ მოიცვა 31039 დოკუმენტი, მათ შორის: შემოსული - 10104, შიდა - 11473, გასული - 6708, სამართლებრივი აქტი - 2754

მოქალაქეების მიერ არის შემოტანილი 4557 განცხადება, 5547 გზავნილი შემოსულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მათგან დაახლოებით 3200 არის პასუხი პარლამენტიდან გაგზავნილ კორესპონდენციაზე.

შემოსული კორესპონდენციის უმრავლესობა, 2300 -ზე მეტი განცხადება ეხება ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივ საკითხებს, რომლის ავტორები არიან მსჯავრდებულები და მათი ახლობლები, რომლებიც ითხოვენ სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვას, შეწყალებას, მათი საქმეების ხელახალ გამოძიებას, დარღვეული უფლებების დაცვასა და სამართლიანობის აღდგენას.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებს ეხება 1200 -მდე განცხადება. რომელთა ავტორები ითხოვენ დახმარებას მკურნალობის, ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებასა და მედიკამენტების შესაძენი თანხების დაფინანსებაში. დაახლოებით 130 განცხადების ავტორი ითხოვს დასაქმებას.

130 განცხადება ეხება განათლების სფეროს საკითხებს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოტანილია დაახლოებით 300 განცხადება.

რეგიონულ და ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით შემოსულია 170 განცხადება.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიერ შემოტანილია სხვადასხვა წინადადება და მოსაზრება.

აღნიშნულ პერიოდში მოქალაქეთა საზოგადოებრივ მისაღებს მიმართა დაახლოებით 5800 მოქალაქემ. მათ გაეწიათ შესაბამისი საინფორმაციო მომსახურება და კონსულტაცია. ორგანიზებულია დაახლოებით 500 განმცხადებლის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრებთან და საქართველოს პარლამენტის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებთან.


დაახლოებით 6600 წერილი შემოსულია დედაქალაქიდან, 3300-ზე მეტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, დაახლოებით 180 წერილი საზღვარგარეთიდან.

პარლამენტში შემოსული წერილობითი მიმართვების უმრავლესობა განხილული და რეაგირებულია, განცხადებების უმეტესობა სათანადო შესწავლის შემდეგ გადაიგზავნა შესაბამის სტრუქტურებში. დაახლოებით 6200 - განცხადებას გაეცა პასუხი, კორესპონდენციის ნაწილი თემატიკიდან გამომდინარე არ საჭიროებს პასუხს, კერძოდ: მოსაზრებები, წინადადებები, მადლობები, მილოცვები და სხვა, დანარჩენზე მიმდინარეობს მუშაობა.

არქივის მიერ სკანირებულია სხდომის დოკუმენტები 513 ტომი, აპარატის უფროსის 4221 ბრძანება; აკინძულია და მყარ ყდაში ჩასმულია 29 ტომი საქმე, დამუშავებულია 500 - ზე მეტი პირადი საქმე, მიღებულია 50 -ზე მეტი მომართვა საარქივო მომსახურების შესახებ.


საქართველოს პარლამენტის აპარატის

საქმისწარმოების დეპარტამენტი




2018 წლის პირველი ნახევრის სტატისტიკური ანგარიში

რეგისტრირებულია 31039 დოკუმენტი. აქედან 10104 - შემოსული, 6708 - გასული, 11473 შიდა ბრუნვის დოკუმენტაცია, 2754 სამართლებრივი აქტი.



- შემოსული კორესპონდენცია
- გასული კორესპონდენცია
- შიდა ბრუნვა
- სამართლებრივი აქტი


შემოსული კორესპონდენციიდან რეაგირებულია 6163. პასუხებმა, მოსაზრებებმა და ინფორმაციამ შეადგინა 3826 ერთეული. განხილვის პროცესშია 115 დოკუმენტი



- რეაგირებულია
- პასუხები, მოსაზრებები, ინფორმაცია
- განხილვის პროცესშია


თავმჯდომარე, სპიკერატი, აპარატი - 7013

შემოსული კორესპონდენციის თემატიკა




- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი საკითხები
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები; დასაქმება
- განათლება, მეცნიერება კულტურა
- ეკონომიკა, რეგიონული და ინფრასტრუქტურული საკითხები
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა
- განცხადებები დეპუტატებთან შეხვედრის მოთხოვნით
- მოსაზრება, წინადადება
- საინფორმაციო
- სხვადასხვა


დოკუმენტრუნვა კომიტეტების მიხედვით



დოკუმენტრუნვა ფრაქციების მიხედვით



დოკუმენტრუნვის გეოგრაფია



არქივი

